ეთიკის კომისიის ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.07.23

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 009/23

შეკითხვა:

ბებიამ, რომელმაც საკუთარ შვილიშვილს ანდერძით დაუტოვა სამკვიდრო ქონება, ანდერძის შედგენის შემდეგ, მინდობილობა მისცა საკუთარ შვილს (შვილიშვილის დედას). დედამ მინდობილობის საფუძველზე გადაიფორმა ქონების ნაწილი, ხოლო ბებიის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო ქონების ნაწილი დარჩა გადაუფორმებელი. დღეის მდგომარეობით, შვილიშვილი და დედა თანხმდებიან, რომ სამკვიდრო ქონებაზე საკუთრება დედის სახელზე დარეგისტრირდეს, რა საფუძვლითაც მათ მიმართეს ადვოკატს და სთხოვეს დახმარება.

ხომ არ დაარღვევს ადვოკატი პროფესიული ეთიკის ნორმებს თუ ის მომსახურეობას გაუწევს დედას და შვილიშვილს, საერთო ინტერესის დასაკმაყოფილებლად?

ანალიზი:

ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.1).

ინტერესთა კონფლიქტი არსებობს იმ შემთხვევებშიც, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.2.„ა“).

ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 6.6).

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კლიენტისათვის კვალიფიციური მომსახურეობის გაწევა ვერ მიიღწევა მაშინ, როდესაც ადვოკატს, ორი ან მეტი კლიენტის დაცვისას, იმავვე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეზე, კლიენტთა ურთიერთგამომრიცხავი მიზნებით, წარმოეშვება ინტერესთა კონფლიქტი. კონკრეტულ შემთხვევაში, ადვოკატს ჰყავს ორი კლიენტი, რომელთა ინტერესებიც, ერთი და იგივე საქმეში ერთმანეთს ემთხვევა და ადვოკატი საქმეში ჩაერთო, მათი ურთიერთშეთანხმებული ნების საფუძველზე. შესაბამისად იმ მოცემულობით, რომ კლიენტების ინტერესები საერთოა, ადვოკატს არ წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ კლიენტების მიერ, პოზიციის შეცვლის და/ან სასამართლო წარმოებისას მათი ინტერესების, თუნდაც ფორმალურაი დაპირისპირებისას, მან უნდა შეწყვიტოს თითოეული კლიენტის წარმომადგენლობა.

დასკვნა:

კითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური გარემოების გათვალისწინებით, ადვოკატს არ წარმოეშვება ინტერესთა კონფლიქტი, რამდენადაც, მისი კლიენტები არ არიან დაპირისპირებული ინტერესის მქონე პორები, თუმცა იმ შემტხვევაში, თუ ისინი შეიცვლიან პოზიციებს ან, სასამართლო წარმოებისას მათი ინტერესები, თუნდაც ფორმალურად დაუპირისპირდება ერთმანეთს, ადვოკატმა უნდა შეწყვიტოს ორივე კლიენტის წარმომადგენლობა.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.